

ახალი კორონავირუსი (COVID-19)

რა არის ახალი კორონავირუსი ?

ახალი კორონავირუსი (COVID-19) არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად, 2019 წელს ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა. ჯანმრთელობის ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ახალი ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია და ის ფაქტი, რომ მას აქვს პოტენციური გამოიწვიოს მძიმე დაავადება და ზოგიერთ შემთხვევაში პნევმონია.



ვინ იმყოფება რისკის ქვეშ ?

ამჟამად ზოგადი პოპულაციისთვის რისკი დაბალია. ადამიანები რომელთაც არ უმოგზაურიათ დაავადების გავრცელების არეალში არ იმყოფებიან მომატებული რისკის ქვეშ. პირებმა, რომლებმაც იმოგზაურეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ჩამოსვლიდან 2 კვირის განმავლობაში გამოუვლინდათ სიმპტომები, დაუყონებლივ უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას.

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს, ვირუსთან ექსპოზიციის შემდგომ, სიმპტომები გამოუვლინდათ 2 დან 14 დღეში.

როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?



წვეთოვანი გზით:
ხველით,
ცემინებით



თვალებზე, პირზე და
ცხვირზე,
დაუბანელი ხელის
შეხებით



დაავადებულებთან
მჭიდრო კონტაქტით-
შეხება, ხელის
ჩამორთმევა



იშვიათ
შემთხვევაში
ფეკალიებთან
კონტაქტით

რა არის ახალი

კორონავირუსის სიმპტომები?

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ რესპირაციული დაავადებების სიმპტომები, როგორიცაა:



ცხელება



ხველა



სუნთქვის
გაძნელება



მძიმე დაავადება

როგორ უნდა დაიცვათ თავი ახალი კორონავირუსისაგან?

საზღვარგარეთ მოგზაურობისას გაითვალისწინეთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, იხილეთ [NCDC.GE](https://ncdc.ge)-ზე ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭიროა მიყვეთ გრიპისა და სხვა რესპირაციული დაავადებების პრევენციის ზოგად რეკომენდაციებს:

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი.
- ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით;
- მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს დაავადებულ ადამიანთან
- ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი

გახსოვდეთ! ჯანმრთელმა ადამიანმა ნილაბი უნდა ატაროს მხოლოდ დაინფიცირებულ პირთან მჭიდრო კონტაქტის შემთხვევაში



12/02/2020

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.ncdc.ge ან www.facebook.com/ncdcgeorgia

ან დარეკეთ ცხელი ხაზის ნომერზე
116 001



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
პროფილური ცენტრი

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH